დიფერენცირებული მიდგომის გამოყენება პირველკლასელთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისთვის ქართულ ენაში

დილარა ტახმაზოვა

ლელა სამხარაძე

საკინა ბაკიევა

ბიზნესის, ტექნოლოგიის და განათლების ფაკულტეტი

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლება (I-VI კლასები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ვიქტორია უშანგიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

ლელა სამხარაძე, დილარა ტახმაზოვა, საკინა ბაკიევა

თარიღი: 20.06.2024

აბსტრაქტი

მოცემული სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს პრაქტიკის კვლევის ანგარიშს, რომელიც განვახორციელეთ თბილისის #45 საჯარო სკოლის დაწყებით კლასში. კვლევის ფარგლებში პირველკლასელ მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად.

ჩვენი მიზანი იყო შეგვესწავლა არსებული რეალობა თუ როგორ იყო გათვალისწინებული დიფერენცირებული მიდგომის დანერგვა ამ კონკრეტული პირველი კლასისთვის და რამდენად ითვალისწინებს მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ინტერესებს და საჭიროებებს. არსებული რეალობის გაუმჯობესებისთვის შეგვემუშავებინა და დაგვენერგა შესაბამისი ინტერვენციები, გაგვეზომა მიღწეული შედეგები.

პრაქტიკის კვლევის განხორციელებისას გამოვიყენეთ, როგორც რაოდენობრივი (მშობელთა კითხვარი, მოსწავლეთა სადიაგნოსტიკო ტესტი და მეორადი მონაცემების ანალიზი), ასევე თვისებრივი (დაკვირვება, ინტერვიუ მასწავლებლებთან და ფოკუს-ჯგუფი მშობლებთან) მეთოდები. შერჩეული ინსტრუმენტების საშუალებით დავადგინეთ, რომ ამ პირველი კლასის მოსწავლეებს ნაკლებად აქვთ განვითარებული ფონოლოგიური უნარ-ჩვევები და ტექსტის გაგება/გააზრების უნარი ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ასევე რამოდენიმე მოსწავლეს უჭირს ყურადღების კონცენტრაცია და ნაკლებად აქვს განვითარებული სოციო-ემოციური უნარები. დიაგნოსტირების ეტაპზე გამოიკვეთა ის ძირითადი ფაქტორები, რომლებმაც განაპირობეს ამ კლასში დიფერენცირებული სწავლის საჭიროება. ეს ფაქტორებია: სკოლის კურიკულუმი, მოსწავლეთა ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო, მოსწავლეთა სკოლამდელი მზაობა, ინდივიდუალური შესაძლებლობები, საჭიროებები და ინტერესები. არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით შევიმუშავეთ შემდეგი ინტერვენციები: მზაობის მიხედვით შევთავაზეთ დიფერენცირებული დავალებები მოსწავლეებს, მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით შევქმენით

სასწავლო მასალები, სიტყვების ბანკი და სხვა რესერუსები მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობისთვის, რომლებიც გავაცანით მშობლებს. კონკრეტული რესურსების გამოყენებით მშობლებს შეეძლოთ მიზნობრივი დახმარება შეეთავაზებინათ მოსწავლეებისთვის სახლის პირობებშიც. მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე ჩავატარეთ სარემედიაციო შეხვედრები. კვლევის შედეგების მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი რესურსები გავუზიარეთ დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს.

ინტერვენციების შესაფასებლად გამოვიყენეთ შემდეგი ინსტრუმენტები: ინტერვიუ მასწავლებელთან, ფოკუს-ჯგუფი მშობლებთან და სადიაგნოსტიკო ტესტი მოსწავლეებთან. ჩვენ მიერ განხორციელებული ინტერვენვიები ძირითადად ორიენტირებული იყო ფონოლოგიურ, დეკოდირების, ტექსტის გაგება-გააზრების უნარებზე და ინტერვენციების შეფასებამ აჩვენა, რომ ყველა დასახელებული მიმართულებით მოსწავლეებს აქვთ საგრძნობი პროგრესი. ინტერვენციების ფარგლებში მოსწავლეებისთვის შეთავაზებული მრავალფეროვანი აქტივობების თანმდევი დადებითი შედეგი იყო მოსწავლეებში ყურადღების კონცენტრაციის, ინსტრუქციის გაგების, თანამშრომლობითი უნარების განვითარება და მოტივაციის ზრდა.

მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით, სასურველია გაგრძელდეს დიფერენეცირებული მიდგომის გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში და სარემედიაციო შეხვედრები. ხოლო სკოლის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით, პრაქტიკის კვლევის ფარგლებში შექმნილი რესურსები ჩაშენდეს პირველი კლასების სასკოლო კურიკულუმში.

Abstract

This master's thesis is a report of the practice research that we carried out in the primary class of Tbilisi #45 public school. In order to improve the academic performance of first grade students within the scope of the research.

Our goal was to study the existing reality of how the implementation of a differentiated approach was envisaged for this particular first grade and to what extent it takes into account the abilities, interests and needs of students. To improve the existing reality, we should develop and implement appropriate interventions, measure the achieved results.

We used both quantitative (parent questionnaire, student diagnostic test, and secondary data analysis) and qualitative (observation, interview with teachers, and focus group with parents) methods when conducting practice research. Through the selected tools, we determined that these first grade students have less developed phonological skills and the ability to understand/comprehend the text in Georgian language and literature, as well as several students having difficulty concentrating and have less developed socio-emotional skills. At the diagnosis stage, the main factors that led to the need for differentiated learning in this class were identified. These factors are: school curriculum, students' Georgian language and literature textbook, students' pre-school readiness, individual abilities, needs and interests. In order to improve the current situation, we developed the following interventions: we offered differentiated tasks to students according to readiness, we created learning materials, a word bank and other resources for independent work of students, taking into account the interests of students, which we introduced to parents. Using specific resources, parents could offer targeted support to students at home as well. Based on the needs of the students, we held remedial meetings. In order to ensure the sustainability of the research results, we shared the resources created with primary level teachers.

We used the following tools to evaluate the interventions: an interview with the teacher, a focus group with parents and a diagnostic test with students. The interventions we

implemented were mainly focused on phonological, decoding, text comprehension skills, and the evaluation of the interventions showed that students have made significant progress in all the named directions. A positive result of the various activities offered to the students within the framework of the interventions was the development of students' attention concentration, understanding of instructions, cooperation skills, and an increase in motivation.

In order to improve the obtained results, it is desirable to continue using a differentiated approach in the teaching-learning process and remedial meetings. And in order to improve the school's activities, the resources created within the scope of practice research should be incorporated into the school curriculum of the first grades.

მადლობა

მადლობას ვუხდით სსიპ ქალაქ თბილისის #45 საჯარო სკოლის დირექტორს ქალბატონ მზია გელაშვილს და პროექტის ხელმძღვანელს ქალბატონ მაგდა მიქაბერიძეს კვლევის პროცესში გაწეული მხარდაჭერისთვის, თანამშრომლობისთვის და გაწეული დახმარებისთვის. მადლობას ვუხდით პირველი კლასის მოსწავლეებს და მათ მშობლებს კვლევაში აქტიური მონაწილეობისთვის.

ასევე განსაკუთრებით მადლობა გვინდა გადავუხადოთ ჩვენი კვლევის აკადემიურ ხელმძღვანელს, ვიქტორია უშანგიშვილს, დახმარებისთვის, მხარდაჭერისთვის, გაზიარებული სამეცნიერო ლიტერატურისთვის, დროული უკუკავშირისთვისა და სათანადო რეკომენდაციებისთვის.